N გ-23-03/438
27/02/2023

438-გ-23-03-2-202302271253

შპს „ბი ემ ჯი“-ს

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2023 წლის 2 მარტს, 15:00 საათზე, გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში -კომისია) სხდომა, სადაც განიხილება შპს „ბი ემ ჯი“-ს მიერ ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 66[1] მუხლის პირველი პუნქტისა და 45[1] მუხლის მე-12 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაძლო დარღვევის საკითხი *(საფუძველი: კომისიის აპარატის მედიამომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის მოხსენებითი ბარათი (20.02.2023, N23-10-369) თანდართული მასალით).*

გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, კომპანიას უფლება აქვს კომისიას წარუდგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოს ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

დამატებით გაცნობებთ, რომ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, კომისიის სხდომები იმართება დისტანციურ რეჟიმში. კომისიის სხდომაზე დისტანციურად დასწრების მიზნით, გამოგეგზავნებათ სპეციალური ბმული (ლინკი), კომისიისთვის ცნობილ და თქვენს მიერ დაფიქსირებულ ბოლო ელ. ფოსტის ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე. შესაბამისად, გთხოვთ, შესაბამის ელექტრონულ პორტალზე (https://eforms.comcom.ge) უმოკლეს ვადაში განაახლოთ ან/და კომისიის ოფიციალურ ელ. ფოსტაზე (post@comcom.ge) მოგვაწოდოთ თქვენი საკონტაქტო მონაცემები (ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონის ნომერი), წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია იხელმძღვანელებს მის ხელთ არსებული ბოლო საკონტაქტო მონაცემებით, რომელზეც შეტყობინება ჩაითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად, ყველა თანმდევი სამართლებრივი შედეგით. ამასთანავე გაცნობებთ, რომ კომისიის შესაბამისი შეტყობინებები და გადაწყვეტილებები ამავდროულად გამოქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზეც (www.comcom.ge).

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში. ამასთან, გაცნობებთ, რომ კომისია უფლებამოსილია საკითხი განიხილოს სხდომაზე წარმომადგენლის დასწრების გარეშეც.

დანართი:

1. კომისიის აპარატის მედიამომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის 2023 წლის 20 თებერვლის №შ-23-10-369 მოხსენებითი ბარათი - 2 ფურც.
2. კომისიის 2023 წლის 7 თებერვლის Nგ-23-04/260 წერილი შპს ,,ბი ემ ჯი“-ს - 1 ფურც.
3. შპს ,,ბი ემ ჯი“-ს 2023 წლის 8 თებერვლის წერილობითი ახსნა-განმარტება (კომისიაში რეგისტრაცია: N შ-23-6/441) – 1 ფურც.
4. კომისიის 2023 წლის 14 თებერვლის Nგ-23-04/338 წერილი შპს ,,ბი ემ ჯი“-ს ხელშეკრულების წარმოდგენის თაობაზე - 1 ფურც.
5. შპს „ბი ემ ჯი“-სა და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,ლელო საქართველოსთვის“ შორის 2022 წლის 3 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულება ერთჯერადი მომსახურების გაწევის თაობაზე - 1 ფურც.

ირაკლი ბუთბაია

დეპარტამენტის უფროსი
იურიდიული დეპარტამენტი